საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე – კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე– კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. უ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.06.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 054/23

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი: ადვოკატი დ. ჭ. /სიითიN/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ჭ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის განმარტება:**

1.1 2023 წლის 5 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. უ.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. ჭ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 ე. უ.-ის განმარტებით, 2021 წლის 3 დეკემბერს, სამართლებრივი დახმარების მიღების მიზნით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“-ს, სადაც განუმარტეს, რომ იურიდიული კონსულტაციის მისაღებად უნდა მისულიყო ნაძალადევის რაიონის გამგეობაში მომუშავე იურისტთან. ე. უ.-ის განცხადებით, ის ნაძალადევის რაიონის გამგეობის ადვოკატ თ. გ.-

სთან, სამართლებრივი დახმარების მისაღებად მივიდა იმავე წლის 6 დეკემბერს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, ადვოკატი თ. გ. ვალდებული იყო მისთვის უსასყიდლოდ გაეწია საადვოკატო მომსახურება: შეედგინა საპროცესო დოკუმენტები, მათ შორის სააპელაციო საჩივარი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა თ. გ.-მა უარი განუცხადა საპროცესო დოკუმენტის შედგენაზე და განუმარტა ე. უ.-ს, რომ არ შეიცვლიდა გადაწყვეტილებას და არ დაეხმარებოდა: „მე თქვენ გიცანით, თქვენ 4 წლის წინ კონფლიქტი გქონდათ ჩვენს ერთ-ერთ თანამშრომელთა, რომლის გვარი არც კი მახსოვს, თქვენ ხართ აგრესიული და კონფლიქტური პიროვნება, მე არ გაგიწევთ არანაირ იურიდიულ დახმარებას, არც სარჩელს დაგიწერთ და არც კონსულტაციას გაგიწევთ უმარტივეს საკითხებზეც კი.“ საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატს მოსთხოვა ორგანიზაციის „ჩემი ადვოკატი“ წესდება, რომლის გადაცემაზეც ადვოკატმა უარი განუცხადა და განუმარტა საჩივრის ავტორს, რომ მოახსენებდა თავის ხელმძღვანელს, რომ ე. უ. იყო აგრესიული პიროვნება და ის ორგანიზაციიდან დახმარებას ვერ მიიღებდა. იმავე დღის 6 საათზე ადვოკატმა თ. გ.-მა აცნობა, რომ ესაუბრა თავის ხელმძღვანელებს და მათ უარი უთხრეს ე. უ.-ისათვის დოკუმენტების შედგენასა და დახმარების გაწევაზე, რაც მომჩივანის ინფორმაციით, ეწინააღმდეგებოდა ორგანიზაციის წესდებას. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან არაერთხელ მიმართა ადვოკატ თ. გ.-ის ხელმძღვანელს - ადვოკატ დ. ჭ.-ს ორგანიზაციის წესდებისა და მათი ფუნქცია-მოვალეობების აღწერის გადაცემის მოთხოვნით, თუმცა დ. ჭ. თავს არიდებდა მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. შესაბამისად, ადვოკატს აღნიშნული დოკუმენტები ე. უ.-ისათვის არ გადაუცია და არც საადვოკატო მომსახურება გაუწევიათ მისთვის.

1.4 ე. უ.-ის განმარტებით, მას არ ჰქონდა ფინანსური სახსრები მოეძებნა სხვა ადვოკატი, ხოლო ადვოკატ თ. გ.-ისა და ადვოკატ დ. ჭ.-ის ქმედებების გამო, მან წააგო სასამართლო დავა და მიადგა ფინანსური ზიანი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა დ. ჭ.-მა ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2023 წლის 6 ივნისს, სადაც მიუთითა, რომ ე. უ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებული და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატ დ. ჭ.-ის განმარტებით, ის ე. უ.-ს მხოლოდ ერთხელ შეხვდა. ადვოკატის განცხადებით, ე. უ.-მ ადვოკატ თ. გ.-ის, ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“-ის; ორგანიზაციის დირექტორის - მარინა ბერიძისა და მის მიმართ სამოქალაქო სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რაც არ დაკმაყოფილდა სასამართლოს გადაწყვეტილებით და სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრის ავტორს გასაჩივრებული აქვს სააპელაციო წესით. სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლოში, აღნიშნული საქმის განხილვისას გამართულ სასამართლო პროცესზე შეხვდა ადვოკატი ე. უ.-ს და სხვა სახის კომუნიკაცია ან შემხებლობა საჩივრის ავტორთან არ ჰქონია. ადვოკატის განმარტებით,

მასსა და საჩივრის ავტორს შორის არასდროს ყოფილა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და მისთვის გაუგებარია რატომ არის ის ეთიკის კომისიაში მომჩივანის პრეტენზიების ადრესატი.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი დ. ჭ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი; ბავშვთა უფლებები.

3.2 ე. უ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2022 წლის 5 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2021 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ჭ.-ის მიმართ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1. საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა დ. ჭ.-მა არ გადასცა ორგანიზაციის წესდება და არ მოახდინა ადვოკატ თ. გ.-ის ქმედებებზე სათანადო რეაგირება.

5.2. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულის მიხედვით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებსა და ქცევის წესებს. ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება: ა) ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის; ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.” ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5-მე-9 მუხლები, ისევე როგორც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმები, განსაზღვრავენ ადვოკატის ქცევის წესებს კლიენტების, კოლეგების, სასამართლოსა და პროცესის მონაწილე სხვა პირთა მიმართ, მაშინ, როდესაც ადვოკატი ასრულებს პროფესიულ ფუნქციას.

5.3. შესაბამისად, იმისთვის რომ პირზე გავრცელდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკა, აუცილებელია ის გაწევრიანებული იყოს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ და ამავდროულად შეყვანილი იყოს ადვოკატთა ერთიან სიაში, ხოლო მეორეს მხრივ სადავო ურთიერთობაში მონაწილეობდეს, როგორც ადვოკატი. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულაცია

ვრცელდება მხოლოდ ადვოკატებზე, შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ პირი არ არის ადვოკატი ან/და ურთიერთობაში არ მონაწილეობს როგორც ადვოკატი, მასზე აღნიშნული ნორმატიული აქტების მოქმედება არ გავრცელდება.

5.4. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ე. უ.-სა და ადვოკატ დ. ჭ.-ს შორის არ არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და საჩივრის ავტორთან ურთიერთობისას ადვოკატი დ. ჭ. წარმოადგენდა ორგანიზაციის თანამშრომელს, ხოლო სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას - მომჩივანის მოწინააღმდეგე მხარეს. ე. უ.-სთან ურთიერთობაში დ. ჭ. არ მოქმედებდა, როგორც ადვოკატი, შესაბამისად, მის მიმართ ვერ გავრცელდება პროფესიული ეთიკის კოდექსითა და „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.

5.5. საპროცესო კოლეგია ე. უ.-ის პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, ადვოკატმა დ. ჭ.-მა, როგორც ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი"-ის დირექტორის პირველმა მოადგილემ დაარღვია ორგანიზაციის შიდა დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული ვალდებულებები და ადვოკატის ქმედებით ე. უ.-ს მიადგა ფინანსური ზიანი, განმარტავს, რომ ეთიკის კომისია არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში არსებული დისციპლინური დევნის განმახორციელებელი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც შეისწავლის ადვოკატის ქცევის შესაბამისობას პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტებთან; ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინირების საკითხს. ეთიკის კომისია არ არის უფლებამოსილი განიხილოს შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები ან/და მოირგოს სხვა ორგანოს კომპეტენცია და იმსჯელოს ფინანსურ ზიანთან დაკავშირებულ საკითხებზე.

5.6. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში", ხოლო ამავე მუხლის „გ" ქვეპუნქტით, „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ: საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად". ე. უ.-ის პრეტენზიები არ გამომდინარეობს დ. ჭ.-ის მიერ საადვოკატო საქმიანობიდან გამომდინარე, ხოლო პრეტენზიების ნაწილის შეფასება კი, სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციის ფარგლებს. შესაბამისად, დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ დ. ჭ.-ის მიმართ დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ.

5.7. საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20 მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N054/23 ადვოკატ დ. ჭ.-ის /სიითი N/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/